აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

დადგენილება №05\2004

29.05.2004 წ. ქ.ბათუმი

ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფების საარჩევნო რეგისტრაციისათვის მიმართვის ბოლო ვადის განსაზღვრის თაობაზე

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 45-ე მუხლის 1 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფების საარჩევნო რეგისტრაციისათვის საოლქო საარჩევნო კომისიაში მიმართვის ბოლო ვადად განისაზღვროს 2004 წლის 1 ივნისი.

მუხლი 2. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე ი. ფაღავა

კომისიის მდივანი გ. მჭედლიძე